საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დაღეთი

დაღეთი, სოფელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), ქვემო ქართლის პლატოზე, მდ. ჭივჭავის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., სამშვილდე). ზ. დ. 860 მ, თეთრიწყაროდან 10 კმ. 235 მცხ. (2002).

დ. პირველად 1556 საბუთში მოიხსენიება, საიდანაც ირკვევა, რომ დონდარა მამადელაშვილს დ-ის მამასახლისობა უბოძა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა. XVII ს. საბუთების მიხედვით, დ-ს ორბელიშვილები ფლობდნენ. სოფლის სამხრ. უბანში შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. მის ირგვლივ სასაფლაოზე მრავალი ქვაჯვარია. ზედაპირზე ნაპოვნი მოჭიქული და წითელი კერამიკის ნიმუშები XI–XIII სს. მიეკუთვნება. სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1,5 კმ-ზე, ქვიან ბორცვზე აღმოჩენილია ნანგრევთა ნაშთები. მას ახლა ყალაჩას უწოდებენ, ძვ. რუკებზე კი აქ ყალაჩის მონასტერია აღნიშნული.

კირხსნარიანი ლოდების გროვათა გარდა, არის მშრალად ნაწყობი განიერი კედლებიც. დ-ის დას-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, თეთრიწყაროსკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევია. პერანგშემოძარცული შენობის კედლები რეგულარული წყობით იყო ნაგები. სამხრ. შესასვლელზე ჯვრებით, კოპებითა და წარწერით შემკული დიდი არქიტრავის ქვა იდო, რ-ის ასომთავრული წარწერა X ს-ისაა და ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ქობულ ხევისუფალი, ესე და კარკნალი წყაროი მან ქმნა". წარწერაში ნახსენები კარკნალი („დიდი ქვავნარი" – საბა) ზემოაღწერილ ყალაჩას უნდა გულისხმობდეს. ამავე ეკლესიის ქვებში ნაპოვნია წნული ჩარჩოთი შემკული ასომთავრული წარწერის ნაშთი – „თამარის!"; ვარაუდობენ, რომ აქ თამარ მეფე იგულისხმება.

დ-ის მახლობლად შემორჩენილია უკანდაღეთის ნასოფლარი და გადაკეთებული ეკლესიის ნაშთი XI ს. წარწერებით, ჩრდ.-აღმ-ით კი – ნასოფლარი ორთაშუა. ყველა წარწერიანი ქვა ამჟამად საქართვ. ეროვნ. მუზეუმშია.

წყარო: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, [ტ.] 2, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1953; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლაპიდარული წარწერები, [ტ.] 1, ნ. შოშიაშვილის *გამოც.*, თბ., 1980; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის *გამოც.*, თბ., 1964;

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში, «ძეგლის მეგობარი», 1966, №8.

დ. ბერძენიშვილი